MES 4 20 0000798779

08/09/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 24.08.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:45 სთ
საბჭოს თავმჯდომარე : ირაკლი ბურდული
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა
სსხდომის მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ირაკლი ბურდული - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. დიმიტრი გეგენავა - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, - სხდომის თავმჯდომარე;
3. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. მანანა კველიშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. ნინო დობორჯგინიძე - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. თამარ ტუფინაშვილი - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
8. პაატა ბრეკაშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;

9. ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. გიორგი თურქია - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. ნიკოლოზ კიკნაძე - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
12. ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხალმძღვანელი,პროფესორი;
13. გაიანე სიმონია - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
14. ზურაბ გვიშიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
15. რომეო გალდავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
16. ირმა წერეთელი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	მარიამ გრიგალაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	დიმიტრი კორძაია	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	I, II
2	ირმა გრძელიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
3	ნინო ჩიხლაძე		მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
4	ვლადიმერ მარგველაშვილი		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II

5	თამუნა ლომიძე		მედიცინის დოქტორი	I, II
6	სოფო ფუთურიძე		მედიცინის დოქტორი	I, II
7	ქეთევან ფრანჩუკი	შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	III
8	ნუნუ ხეცურიანი		პროფესორი	III
9	ნინო მეგრელიშვილი		სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელი	III
10	ია ეგნატიევი		მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის დეკანის მ.შ	III
11	ვახტანგ ლეჟავა	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	რექტორი	IV
12	ნათია სამუშია		პრორექტორი	IV
13	მარინა ქარჩავა		პრორექტორი	IV
14	ნუცა ბათიაშვილი		სოციალური, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანი / ასოცირებული პროფესორი	IV
15	ლანა გაბრიაძე		სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი	IV
16	თინათინ ქაროსანიძე		საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის დეკანი / პროფესორი	IV
17	გოგი კაციტაძე		პროფესორი	IV
18	ანკა თაბუკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	IV
19	მარიამ გაბუნია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	IV
20	ლაშა მათიაშვილი		ასოცირებული პროფესორი	IV
21	ციცინო თურქაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V
22	მანანა ქარჩავა		სადოქტორო პროგრამის " სურსათის მეცნიერებები და ტექნოლოგია" ხელმძღვანელი	V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი

1	ნინო კორსანტია	(ჩაერთო „ზუმით“)	I , II
2	ეკატერინე ბეშკენაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
3	ანა ბაცანკალაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
4	ზურაბ ალხანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
5	ირაკლი გაგუა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	ჯინა შოგირიძე	(ჩაერთო ,,ზუმით“)	III
7	იაგო კაჭკაჭიშვილი	(ჩაერთო ,,ზუმით)	IV
8	თამარ სანიკიძე	(ჩაერთო ,,ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ,,სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "სოციალური მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს აღნიშნული დღის წესრიგი

სხდომის თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ქართულენოვანი და

ინგლისურენოვანი პროგრამები განეხილათ ერთად. საბჭოს წევრები ერთხმად დათანხმდნენ აღნიშნულ ინიციატივას.

1. პირველი საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N37 2011/09/16
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0911 დენტალური მედიცინა
12	კვალიფიკაციის კოდი	0911
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
15	განხორციელების ადგილი	ბელიაშვილის #8, თბილისი, 0105, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

2. მეორე საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0911 დენტალური მედიცინა
12	კვალიფიკაციის კოდი	0911
13	სწავლების ენა	ინგლისური
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
15	განხორციელების ადგილი	ბელიაშვილის N78, თბილისი, 0105, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
პირველი და მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2020 წლის 10-11 ივლისს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წინასწარ გადაეგზავნათ უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი დოკუმენტაცია. დამატებითი საბუთები და მასალები, მოთხოვნის შემდგომ, გადაეცათ ადგილზე, პირადად და ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით. წინააღმდეგობების გარეშე ჩატარდა გამოკითხვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ინტერვიუს ნაწილი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, რომლებიც მომავალში ინგლისურენოვანი პროგრამის განმახორციელებელ პირებად მოიაზრებიან, ჩატარდა ინგლისურ ენაზე, გამოკითხულებმა აჩვენეს ენის სათანადო ცოდნა. ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, უნივერსიტეტში ფიზიკური ინტერვიუები წარიმართა დისტანცირებით, უსაფრთხოების ყველანაირი წესების დაცვით, გამოკითხულ პირთა ნაწილი ჩაერთო ZOOM-ის პლატფორმის საშუალებით, ხარვეზების გარეშე.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის შემადგენელი თითოეული კომპონენტის შინაარსი და მოცულობა და მისი საბაზისო და კლინიკური კომპონენტების ერთობლიობა, პროგრამის სწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, უზრუნველყოფს კომპონენტით დასახული მიზნის მიღწევას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავებას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ

კანონმდებლობას. პროგრამაზე სწავლა 10 სემესტრისა და 300 კრედიტის ფარგლებში ხორციელდება, მათ შორის ელექტიური საგნების მოცულობა 11 კრედიტია.

უნივერსიტეტის ფარგლებში, რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი სასწავლო პროგრამის ფარგლებში აღიჭურვა და განახლდა საუნივერსიტეტო კლინიკური ბაზა, რაც თავისთავად სწავლების მეთოდების ეფექტურობის მაჩვენებლის ზრდას განსაზღვრავს. მისასალმებელია სტუდენტთა ინტეგრირება აღნიშნულ კლინიკურ სივრცეში. ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; კურსით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი გაზომვადია, შესაძლებელია მათი შეფასება.

სასწავლო კურსი მიმართულია როგორც თეორიული ცოდნის ათვისებისკენ, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესასწავლად მანეკენებზე და ფანტომებზე. ადრე პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესწავლა ხორციელდებოდა მხოლოდ ფანტომებზე მუშაობით, ექიმების ასისტირებით და მცირე დოზით, არასავალდებულო მარტივი მანიპულაციების პაციენტებზე ჩატარებით, რაც არ იყო საკმარისი კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მისაღებად. ახალი პროგრამით, სპეციალობის სასწავლო კურსებს დაემატა სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურები, სადაც უკვე კონკრეტულადაა გაწერილი რომელ სასწავლო კურსში სტუდენტმა რა მანიპულაციები უნდა ჩაატაროს ფანტომზე და რა პაციენტზე, ზედამხედველობის ქვეშ და თითოეულ ამ მანიპულაციას უკვე მინიჭებული აქვს ქულა. აღნიშნულით, განსახორციელებელი მანიპულაციები გახდა სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, სტუდენტები აღარ არიან პასიური დამკვირვებლების როლში და აქტიურად არიან ჩართული სასწავლო-კლინიკურ პროცესში.

სტომატოლოგიის პროგრამის სტრუქტურა და მისი განხორციელების გზები, მათ შორის, სწავლა-სწავლების მეთოდები ემსახურება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, მათ შორის სტუდენტისთვის როგორც პროფესიული, ასევე ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებას. სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა: ლექციები, სემინარები, ელექტრონული სწავლება, გუნდური მუშაობა, როლური თამაშები, პრეზენტაციები, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, "პორტფოლიოზე" დაფუძნებული სწავლება (ინერგება), პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, სიმულატორებზე და ფანტომებზე სწავლება, პაციენტებზე მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ სტომატოლოგიური მანიპულაციების ჩატარება, ექიმების ყურება და ასისტირება, პაციენტის საწოლთან სწავლება, კლინიკური უნარების ტრეინინგი. პროგრამაში მოცემულია სტუდენტის შეფასების ის ფორმები და

მეთოდები, რომლებიც სწავლის მეთოდებთან ერთად ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგებზე გასვლას, თითოეულ დისციპლინაში სტუდენტების შეფასების პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და უნივერსიტეტის წესდებასთან. სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემით (ECTS). შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი.

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს, ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე, პერსონალის კვლევის ხელშეწყობისთვის ახორციელებს ტრეინინგებს, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მუდმივ განალებას, აწყობს სამეცნიერო კონფერენციებს, საერთაშორისო კონფერენციებზე პერსონალის მივლინებას.

პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

უნივერსტეტში გამოიყენება შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა: ზეპირი გამოცდა, წერითი, MCQ-კითხვები, ქვიზი/კომბინირებული ტესტი, პრეზენტაცია, სიმულატორებზე, ფანტომებზე, ანაბეჭდებზე, ექსტრაგირებულ კბილებზე პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემოწმება, ასევე პაციენტებზე მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ ჩატარებული მანიპულაციების შეფასება (ინერგება) (რისთვისაც ასევე შემუშავებულია სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურები), კლინიკური ქეისები, პორტფოლიო (ინერგება). ზოგიერთ სასწავლო კურსში პრაქტიკული უნარების შესაფასებლად იგეგმება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), რაც ასევე გაწერილია სილაბუსებშიც. გამოცდის ეს ფორმა წესით წელს უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა ეპიდსიტუაციიდან და სწავლების ონლაინ-რეჟიმზე გადასვლის გამო, ვერ მოხერხდა. სამწუხაროდ მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა ქვეყნის ყველა უმაღლესი სასწავლებელი.

ზოგიერთი სპეციალობის სილაბუსში გაპარულია ტექნიკური შეცდომები, არასწორი ქულების ნიშნულები, შეფასების კრიტერიუმები საჭიროებს დეტალიზებას და სხვა. სპეციალობის სასწავლო კურსის სილაბუსების თანდართულ სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურებშიც ასევე გაპარულია შეცდომები, თუმცა აღნიშნული დოკუმენტები ახალი შედგენილია, ჯერ პრაქტიკაში არ არის გამოყენებული და სავარაუდოდ ერთი სემესტრის გავლის შემდეგ თვითონ ავტორები შეაფასებენ შინაარს და შესასრულებელი მანიპულაციების შესრულების ადეკვატურობას და მოახდენენ დოკუმენტის მოდიფიცირებას.

უნივერსიტეტში, მათ შორის მედიცინის ფაკულტეტზე ხორციელდება გაცვლითი პროექტები და საერთაშორისო მობილობის პროგრამები, როგორც სტუდენტებისთვის, ისე პროფესორმასწავლებლებისთვის. სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებს ამის შესაძლებლობა ამჟამად არ აქვთ, თუმცა კურსდამთავრებულების გამოკითხვით და ასევე უნივერსიტეტის ვებ-გვერდით დასტურდება წინა წლებში აღნიშნული სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა. დაწესებულებამ ინტერვიუს დროს დაგვიდასტურა, რომ აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები, თუმცა ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, პროცესი შეჩერებულია.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 1.1, 1.2, 2.1, 2.2, 2.4, 2.5, 2.6, 3.1, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 5.1, 5.2 და 5.3 შესაბამისობაშია, ხოლო 2.3 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ :

1. რეკომენდებულია გასწორდეს სილაბუსებში არსებული უზუსტობები. სემესტრული და გამოცდის შეფასების ჯამური ქულა იყოს ქულობრივად დაკონკრეტებული, გაიწეროს რომელი კრიტერიუმების შეფასებით ხდება საბოლოო ქულის მიღება.
2. გასწორდეს სტუდენტთა აქტივობის დღიურებში გაპარული შეცდომები და უზუსტობები.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინათ პოზიცია.
უმაღლესი დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულებას სრულიად გაიაზრა გაცემული რეკომენდაციები და რჩევები. პროგრამაში მოხდა გარკვეული ცვლილებების შეტანა. შეიცვალა დასკვნითი შეფასების ფორმები და კრიტერიუმები შემდეგი საგნის სილაბუსებში: ,,ორთოპედიული სტომატოლოგია“, ,,ორთოდონტია“, ,,ქირურგიული სტომატოლოგია“, ,,ბავშვთა ქირურგიული სტომატოლოგია“, ,,ბავშვთა და მოზარდთა ასაკის თერაპიული სტომატოლოგია“, და ,,სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა“.

სხდომის თავმჯდომარემ თხოვა საბჭოს წევრებს დაესვათ კითხვები ან გამოეთქვათ მოსაზრებები საბჭოს წევრი, გაიანე სიმონია დაეთანხმა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ქვეყანაში არსებულმა ეპიდემიურმა სიტუაციამ ნამდვილად ხელი შეუშალა უნივერსიტეტებში როგორც OSCE , ასევე OSPE დანერგვას.
საბჭოს წევრმა ეკა ეკალაძემ გამოყო სილაბუსებში მოცემული ლიტერატურის საკითხი და განმარტა, რომ ქართულ პროგრამებში მუდმივად არის ქართულენოვანი ლიტერატურის დეფიციტი. შესაბამისად, უმჯობესი იქნება გაძლიერდეს ინგლისური ენის სწავლება ქართულენოვან პროგრამებზე. გარდა ამისა მან აღნიშნა, რომ პროგრამაში წერია რომ სტუდენტების მიღება უცხო ენით ხდება, ხოლო შემდეგ, არის მხოლოდ ინგლისურის სწავლება B1 და B2. პროგრამაში არ არის მოცმული უცხო ენის დონეებით დაყოფა შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორს არის აღნიშნული საკითხი დარეგულირებული. ასვე საყურადღებოა, რომ სტომატოლოგიის სტუდენტების არ არიან ჩართულნი საერთაშორისო აქტივობებში, მაშინ როდესაც მედიცინის ფაკულტეტი საკმაოდ აქტიურია ამ კუთხით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს აქვს უამრავი ერასმუსის პროგრამა, მაგრამ სამწუხაროდ ინსტიტუციები სტომატოლოგიის მიმართულებით შედარებით ნაკლებია, რის გაუმჯობესებასაც დაწესებულება მუდმივად ცდილობს. თუმცა, უნივერსიტეტია ამ დანაკლისს ავსებს ინტერნაციონალიზაციის სხვა საშუალებებით, როგორიცაა, უცხოელი პროფესორების ჩამოყვანა, ლექციებისა და ონლაინ ჩართვების დაგეგმვა. რაც შეეხება უცხო ენას, ჯგუფების დაკომპლექტების წინ აუცილებლად ხდება ტესტირება, რის საფუძველზეც სტუდენტები ნაწილდებიან სხვადსხვა ჯგუფებში.
საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა, თუ რამდენი უცხოენოვანი სტუდენტის მიღებას გეგმავს დაწესებულება აღნიშნულ პროგრამაზე.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტომატოლოგიის პროგრამაზე იგეგმება 45 უცხოენოვანი სტუდენტის მიღება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:24
დასრულების დრო:14:30

პირველი საკითხის გადაწყვეტილება

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭოს სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები და შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მეორე საკითხის გადაწყვეტილება

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭომ სრულიად გაზიარა ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები და პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია:
1. დაზუსტდეს უცხო ენაში სტუდენტთა მიღებისა და გადანაწილების საკითხი და მოხდეს მისი სილაბუსში ასახვა.
2. რეკომენდებულია გასწორდეს სილაბუსებში არსებული უზუსტობები. სემესტრული და გამოცდის შეფასების ჯამური ქულა იყოს ქულობრივად დაკონკრეტებული, გაიწეროს რომელი კრიტერიუმების შეფასებით ხდება საბოლოო ქულის მიღება.
3. გასწორდეს სტუდენტთა აქტივობის დღიურებში დაშვებული შეცდომები და უზუსტობები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

14:42 საათზე საბჭოს შეუერთდა საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული, რომელმაც აკრედიტაციის დებულების საფუძველზე გააგრძელა სხდომის თავმჯდომარეობა.

3. მესამე საკითხი: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N389 2011/12/02
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი	0911
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
15	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ, N25, თბილისი, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი
აცილება განაცხადა - თამარ ტუფინაშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ექსპერთა გუნდის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 9 ივნისს. შეფასების პროცესმა ჩაიარა კომფორტულ გარემოში. უნივერსიტეტი იყო მომზადებული და კეთილგანწყობილი. დოკუმენტაცია გადმოგზავნილი იყო სრულად და დროულად. ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ გასაუბრებები (ინტერვიუები) და დაეთვალიერებინათ უნივერსიტეტის რესურსები.
ექსპერტებმა ასევე განმარტეს, რომ უნივერსიტეტს გააჩნია რესურსი, უზრუნველყოს პროგრამის მიზნებით გათვალისწინებული შემდეგი შედეგები. უნივერსიტეტმა პროგრამაში ცვლილებები შრომის ბაზრის კვლევაზე დაფუძნებით შეიტანა და გაზარდა პრაქტიკის კომპონენტი. გამოწვევად რჩება ინტერნაციონალიზაციის და საერთაშორორისო პარტნიორული ურთიერთობის საკითხი. პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის მიზნების შესაბამისია. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამა ნათლად ასახავს რა ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას შესძენს და განუვითარებს სტუდენტებს.
იმის მიუხედავად, რომ პროგრამის შემუშავებაში დამსაქმებელთა აქტიური ჩართულობა ინტერვიუებით პრაქტიკულად არ დასტურდება, უნივერსიტეტის დაკვეთით ჩატარებულია „სამედიცინო პერსონალის დამსაქმებლის კვლევა“ და კვლევის შედეგები შემდგომში გათვალისწინებულია პროგრამაში. პროგრამაზე მიღების წინაპირობები, მიმდინარე აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა, ცხრილი და სხვა პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია და მისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ცხადი, ნათელი და გაზომვადია ახალი პროგრამით წარმოდგენილი სწავლის შედეგები.
მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამა ითვალისწინებს სწავლა-სწავლების მრავალ და თანამედროვე მეთოდს. პერსონალი გადამზადებულია, თუმცა პრაქტიკაში ყველა მეთოდი არაა დანერგილი. თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. უნივერსიტეტს მოწესრიგებული აქვს დოკუმენტაცია და პროგრამა ჰარმონიაშია საკანონმდებლო მოთხოვნებთან.
ცალკეულ შემთხვევებში აღინიშნება სახელმძღვანელოების პრობლემა და სილაბუსის შინაარსის და დარგის თანამედროვე მიდგომებთან დაკავშირებული პრობლემები. უნივერსიტეტს ღია კომუნიკაცია აქვს სტუდენტებთან, უკუკავშირის მიღება მუდმივ რეჟიმში ხორციელდება, თუმცა, რიგ შემთხვევებში, იგნორირებულია კომუნიკაციის ფორმალური გზები. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს და მოწვეულ სპეციალისტებს აქვთ პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენციები და შესაბამისი კვალიფიკაცია, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი“, სადაც განსაზღვრულია მოწვეული პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები და დასაქმების პროცედურა. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს დაკისრებული ფუნქციების სათანადოდ შესრულებას.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს „დაგეგმე - განახორციელეშეამოწმე - განავითარე“ ციკლის შესაბამისად (PDCA პრინციპი: P (plan) - დაგეგმე; D (do) განახორციელე; C (check) - შეამოწმე; A (act) - განავითარე). საგანმანათლებლო პროგრამის

მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური და მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და საინფორმაციოტექნოლოგიური რესურსით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიზნით უნივერსიტეტს აქვს საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა.

შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ,,სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ: 1.1, 1.2, 2.1, 2.2, 2.4, 3.1, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 5.1, და 5.2, შესაბამისობაშია, 5.3 მეტწილად, ხოლო 2.3 ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:

1. დამსაქმებლების აქტიურად ჩართვა პროგრამის შემუშავების, პროგრამაში ცვლილებების შეტანის და პროგრამის გაუმჯობესების პროცესში;
2. თერაპიული სტომატოლოგიის სილაბუსებში შესწორდეს სახელმძღვანელოები;
3. პაროდონტოლოგიის სილაბუსში დაზუსტდეს დიაგნოსტირების სწავლების და დოკუმენტაციის წარმოების საკითხები;
4. პაროდონტოლოგიის სილაბუსში შევიდეს ახალი კლასიფიკაციის სწავლების ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენემა აღნიშნა, დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, შესაბამისად მიმდინარეობის მათი გათვალისწინების შედეგად გარკვეული ცვლილებების განხორციელება. უნივერსიტეტის მიერ 2018 წელს ჩატარებული იქნა ბაზრის კვლევა, რომლის შედეგებიდანაც გამომდინარე მოხდა პროგრამის დახვეწა და გაძლიერება. რაც შეეხება კლინიკას, დაწესებულება ჯანდაცვის სამინისტროსგან აიღო უფლება, შესაბამისად, კლინიკა ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირებს და რეზიდენტები კვლავ აგრძელებენ მუშაობას. სასწავლო პროცესის დაწყებასთან ერთად, კლინიკაც დაიტვირთება სტუდენტებით.

საბჭოს თავმჯდომარე მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.
საბჭოს წევრმა მიმართა ექსპერტებს და ისაუბრა მათ მიერ განსაზღვრულ რჩევებზე, კერძოდ:
დაინერგოს სწავლების ის თანამედროვე მეთოდები, რომლებიც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამაში და პერსონალს ჩატარებული აქვს შესაბამისი ტრენინგი; მოხდეს სწავლების იმ მეთოდების პრაქტიკაში იმპლემენტაცია, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამით და პერსონალი ტრენირებულია. საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ კონკრეტულად რა მეთოდებზეა საუბარი და რატომ არის აღნიშნული დებულებები მოცემული რჩევების სახით და არა რეკომენდაციების.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში საუბარია პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდებზე, რომელიც მოცემულია პროგრამაში და გარდა ამისა, პერსონალს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული აქვს ტრენინგები.
(კითხვაზე პასუხის დროს ექპერტის ხმა არ ისმოდა სავარაუდოდ რაღაც ტექნიკური ხარვეზი იყოს შესაბამისად პასუხი დაუსრულებელია. ჩანაწერის 1:06 წუთზე საუბრობს)

საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა დასკვნაში ასახულ ინფორმაციაზე, კერძოდ, სწავლა-სწავლების მეთოდებში მოცემულია ქვიზი, როდესაც ის შეფასების ფორმას წარმოადგენს.
საბჭოს წევრმა მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს და განმარტა, რომ მედიცინა, ისევე როგორც სტომატოლოგია, იყენებს შეფასების საყოველთაოდ მიღებულ მეთოდებს. აღნიშნულ მეთოდებზე გამოცემულია სახელმძღვანელოები, რომლების საკმაოდ მკაცრად რეგულირდება. აღნიშნულ პროგრამაში კი მოცემულია TACIT Learning, რომელიც არ არის სტომატოლოგიისა და მედიცინის პროგრამებისთვის დამახასიათებელი და რელევანტური.
გარდა ამისა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ პროგრამაში გვხვდება ტერმინები მოქმედებაზე დაფუძნებული სამუშაო და პრაქტიკული სამუშაო, რომლების შინაარსობრივად ერთი და იგივეა, შესაბამისად, უმჯობესია მათი დაკორექტირება.
საბჭოს წევრმა ყურადღება გაამახვილა ასევე PBL სწავლების მეთოდზე, რომელიც მოცემულია პროგრამაში. აღნიშნული მეთოდი საკმაოდ ძველია და ძირითადად საბაზისო სწავლების პერიოდში გამოიყენება და შესაბამისა, არ არის რელევანტური მისი კლინიკურ სწავლებაში ჩართვა.
გაიანე სიმონია ასევე დაინტერესდა CBL სწავლებით, რომელიც წარმოადგენს კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას. აღნიშნულთან ერთად მოცემულია Story Telling, რომელიც CBL სწავლების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს, შესაბამისად ხდება გადაფარვა.
მნიშვნელოვანია ასევე ძირითადი ლიტერატურის საკითხი. ამასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა ყურადღება გაამახვილა ,,ანატომიის" სილაბუსზე, სადაც ძირითად ლიტერატურად მოცემულია 1989 წელს გამოცემული სახელმძღვანელო, მაშინ როდესაც მრავალი ახალი წიგნი არსებობს რომლის გამოყენებაც პროგრამის ფარგლებში სავსებით შესაძლებელია. შესაბამისა, მნიშვნელოვანია მოხდეს აღნიშნული საკითხის გადახედვა.
აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ის მეთოდი რაც სწავლების პერიოდში გამოიყენება არის ,,პროდუქტიული წარუმატებლობა", რომელიც დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. აღნიშნული მეთოდიდან გამომდინარე ლექტორმა სტუდენტს მზა მასალა არ უნდა მიაწოდოს, რადგან აღნიშნული იწვევს გონების ბლოკირებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სტუდენტმა თავად მოიძიოს სწავლებისთვის მნიშვნელოვანი გზები და მაქსიმალურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. გარდა ამისა დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მაქსიმალურად მოხდება რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება და სწავლების მეთოდების გადახედვა.
საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიშში ჩანს სტუდენტთა დაინტერესება მოცემული პროგრამის მიმართ. მან ყურადღება გაამახვილა თვითშეფასებაში ნახსენებ ,, სტუდენტურ სამეცნიერო კლუბზე" და დაინტერესდა თუ რამდენად არიან პროგრამის სტუდენტები ჩართულნი აღნიშნულ კლუბში და ზოგადად რა მიმართულებით ახორციელებს იგი მუშაობას.
ექსპერტმა განმარტა, რომ კლუბი უნივერსიტეტში ნამდვილად არსებობს. დაწესებულებაში გამოკითხვის დროს ძირითადი აქცენტი გაკეთდა სტუდენტთა ჩართულობაზე აღნიშნული კლუბის საქმიანობაში. გამოკითხვიდან გამომდინარე დადგინდა, რომ დაინტერესების შემთხვევაში ნებისმიერ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს კლუბის სერვისებით, თუმცა გამოკითხულთაგან აღნიშნული გამოცდილება ნაკლებად გამოიკვეთა.
საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ საუკეთესო პრაქტიკაში ნახსენებია შუალედური და ფინალური გამოცდები და მოითხოვა მოცემული საკითხის განმარტება.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ საუკეთესო პრაქტიკად საკითხის განხილვა განაპირობა ფორმატის ცვლილებამ, კერძოდ შუალედური და დასკვნითი გამოცდები გახდა კლინიკური.
ეკა ეკალაძემ რჩევის სახით მიმართა დაწესებულებას და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა იყოს მეტად თვალსაჩინო. სწავლის შედეგების

შეფასებისას ასევე საჭიროა მეტი სიცხადე. თავად უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული დოკუმენტი საკმაოდ დეტალურია, რომელიც შესაძლებელია ერთგვარ სახელმძღვანელოდ იყოს გამოყენებული საკითხის მოსაწესრიგებლად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15: 23
დასრულების დრო:15:33

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ სრულიად გაიზიარა ექპერტთა რეკომენდაციები და დაამატა შემდეგი რჩევები, კერძოდ:

1. გადაიხედოს და დაკორექტირდეს სწავლების მეთოდები;
2. გადაიხედოს და განახლდეს პროგრამის მიხედვით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა;
3. თვალსაჩინოდ განიმარტოს ძირითადი მიზნებისა და შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ,,სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის ვადაში ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ,,სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 12 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ირმა წერეთელი.

4. მეოთხე საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "სოციალური მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N209 , 2019/11/21
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0319 სოციალური ქცევითი მეცნიერებები- არაკლასიფიცირებული
12	კვალიფიკაციის კოდი	0911
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	125
15	განხორციელების ადგილი	საქართველო 0159, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი #240, კახა ბედნუქიძის კამპუსი
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ისაუბრა შესასრულებელ რეკომენდაციებზე, კერძოდ:
1. სოცილური კვლევის მეთოდებში, თვისებრივი კვლევის მეთოდებთან ერთად, გათვალისწინებულ იქნეს რაოდენობრივი კვლევის მეთოდებიც;
2. რაოდენობრივი კვლევის მეთოდების სილაბუსით გათვალისწინებულ იქნეს სტატისტიკის საბაზისო მეთოდები, რაც მოიაზრებს აღნიშნული ორი სილაბუსის ინტეგრირებას.

3. სოციალურ მეცნიერებათა ამაგისტრო პროგრამა გაძლიერდეს თანამედროვე სოციალურთეორიული პარადიგმების გათალისწინებით (მაგალითად, ეთნომეთოდოლოგია, სისტემების თეორია, პოსტმოდერნიზმი და ა.შ.)

მან ასევე აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილია 2020 წლის 27 მაისს, რაც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს #209-ე გადაწყვეტილებასთან (მიღებულია 2019 წლის 21 ნოემბერს), რომლის თანახმადაც ანგარიშის წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვრა 2020 წლის 29 მაისი.

რეკომენდაციების გათალისწინების პროცესში ჩართუნი იყვნენ თავისუფალი უნივერსიტეტის რექტორი, პრორექტორები, სანაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი და პროგრამის ლექტორები. სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამაში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამას დაემატა რაოდენობრივი კვლევის მეთოდების სავალდებულო კურსი (5 კრედიტი);
2. რაოდენობრივი კვლევის მეთოდების კურსში ინტეგრირდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა შეგროვებისა და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები.
3. სამაგისტრო სემინარის - სოციალური და პოლიტიკური თეორია - სილაბუსში აისახა სოციალური თეორიები: სისტემაზე და სტრუქტურაზე ორიენტირებული, მოდერნული და პოსტმოდერნული სოციალური თეორიები, ეთნომეთოდოლოგია, სოციალური და კულტურული ფენომენოლოგია, ფუნქციონალიზმი. ასევე, არჩევით კურსებს დაემატა ორი კურსი: მმართველობისა და ძალაუფლების თეორიები და იდეების ისტორია.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ განსაზღვრული უნივერსიტეტმა მხოლოდ ნაწილის გაითვალისწინა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოსა და ექსპერტს. მანს ასვე განმარტა, რომ რეკომენდაციები არა ფორმალურად არის გათვალისწინებული, არამედ, მოხდა მთი პროგრამაში დანერგვა.

რაც შეეხება ექსპერტის მიერ განსაზღვრულ რჩევებს, ერთი გულისხმობს ინტენაციონალიზაციის კომპონენტის გაზრდას, რაც არ წარმოადგენს, რომლის სწრაფად განხორციელებაა შესაძლებელი. ამ კუთხით უნივერსიტეტი, როგორც ზოგადად, ასევე პროგრამის ფარგლებში მუდმივად მუშაობს. აღნიშნული პროგრამისთვის სპეციალურად შეიქმნა საერთაშორისო მრჩეველთა ჯგუფი, რომელშიც არიან ამერიკელი და ევროპელი პროფესორები.

რაც შეეხება მესამე რჩევას, რომელიც სახელის შეცვლას გულისხმობს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული რჩევის გათვალისწინება სწრაფად ვერ მოხდება, რადგან ამ ეტაპზე, პროგრამა უკვე რამდენიმე წელია ხორციელდება ამ სახელით და შესაბამისად ცნობადობა გააჩნია. რჩევა გულისხმობდა სახელწოდებაში პროგრამის სპეციფიკისა და შინაარსის გათვალისწინებას, მაგრამ ამავე დროს პროგრამა იმგვარადაა შემუშავებული, რომ შესაძლებლობას იძლევა სწავლების თემატიკა გაიზარდოს და გამრავალფეროვნდეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15: 45
დასრულების დრო:15: 48

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "სოციალური მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობას მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11] პუნქტის საფუძველზე შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "სოციალური მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N203, 2019/12/11
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სასურსათო ტექნოლოგიების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0721 საკვები პროდუქტების გადამუშავება
12	კვალიფიკაციის კოდი	0721
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
15	განხორციელების ადგილი	საქართველო 4600, ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ, #98, სასწავლო კორპუსი #7
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√არა

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ისაუბრა შესასრულებელ რეკომენდაციებზე, კერძოდ:
1.უზრუნველყოფილ იქნეს ინგლისური ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად სასწავლო კურსის დაწყება, როგორც სასწავლო პერსონალის, ასევე სტუდენტებისთვის. ასევე, გაძლიერდეს არსებული ენების მხარდაჭერის სერვისი. ინგლისურ ენაზე ტექნიკურად წერის ტრენინგი წარმოდგენილ იქნეს სწავლების სავალდებულო ელემენტის სახით;
2. წარმოებულ იქნას კამპანია ახალგაზრდების მეცნიერებით დაინტერესების მიზნით;
3. გავლილ იქნეს საფუძვლიანი ტრენინგი სასწავლო პერსონალის და სტუდენტების მიერ ნაშრომების გამოქვეყნების ხარისხის ფაქტორების შესახებ. მათ მიეწოდოთ ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო, რეცენზირებად და იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში გამოქვეყნების ხელშესაწყობად და მისაღწევად;
4.გავლილ იქნეს მოპოვებული პედაგოგიური ცოდნის პრაქტიკა სტუდენტთა მიერ, მათ მიერ გაწეულ იქნეს ლექტორების ასისტირება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე;
5. გაუმჯობესდეს სილაბუსებში მოცემული კურსის აღწერილობა და მათ შორის სწავლების საათები, კრედიტები და რეკომენდებული ლიტერატურა;
6. მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო პრაქტიკა და სპეცსემინარი საათებისა და კრედიტების ეკვივალენტობის შესახებ წესებთან;
7. დაემატოს პროგრამას ინდუსტრიაში არსებული ყველაზე ფართოდ გავრცელებული სამუშაო ერთეულების ძირითადი საინჟინრო პრინციპების სწავლება სავალდებულო ან არჩევითი კურსის სახით;
8. შეიცვალოს მოთხოვნა „ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის B2 დონეზე ცოდნა“ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის მთავარი მოთხოვნით.; გერმანული ენის ან ფრანგული ენის ცოდნა წარმოადგენდეს იმ დამატებით უპირატესობას, რომელსაც პროგრამა მხედველობაში მიიღებს
9.შემუშავებულ იქნეს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტებისა და ხელმძღვანელების უფლება-მოვალეობებს. უფლებათა ჩამონათვალი უნდა მოიცავდეს ქმედებებს, რომლებიც განხორციელდება ხელმძღვანელსა და სტუდენტს შორის კონფლიქტის შემთხვევაში. უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტისა და ხელმძღვანელის მიერ პროგრამის დასაწყისში სტუდენტის უფლებათა განხილვა.

საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ეკა ეკალაძემ

სადოქტორო პროგრამაში „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია“ აკრედიტაციის საბჭოს მიერ შემოთავაზებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. უნივერსიტეტის ჯგუფის მიერ სრულად მოხდა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების გაზიარება და ასახვა სადოქტორო პროგრამაში. ყველა რეკომენდაციის გათვალისწინების დამადასტურებელი დოკუმენაცია ნაწილობრივ არის წარმოდგენილი უნივერსიტეტის ჯგუფის მიერ.
მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ ვერ შეასრულა აღნიშნული რეკომენდაცია. უნივერსიტეტის მიერ მტკიცებულების სახით მოწოდებულ დოკუმენტში, სადოქტორო პროგრამის „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია“ კურიკულუმში პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში არის ჩანაწერი - „ ინგლისური, გერმანული, ფრანგული ენის ცოდნა B2 დონეზე (გამოცდის ჩაბარება აწსუ-ში ან სათანადო სერთიფიკატის

წარმოდგენა).“ რაც სამივე ენას ერთ დონეზე აყენებს და არ იძლევა ინგლისური ენის უპირატესობას. დამაბნეველია ისიც, რომ ამ განმარტებით (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სამივე ენა სავალდებულო დაშვების წინაპირობად ჩანს. უნივერსიტეტს მტკიცებულებების ჩამონათვალში ასევე აქვს მოწოდებული დადგენილება №83(18/19) აწსუ საინჟინრო - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ, სადაც მუხლი 8. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი 8.1. დოქტორანტობის კანდიდატი წარმოადგენს განაცხადს და გადის გამოცდებზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინროტექნოლოგიური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ დადგენილი წესით სპეციალობასა და უცხო ენაში (B2 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატის არქონის შემთხვევაში); აქაც არ არის გამიჯნული ინგლისური ენა. დამატებითი მტკიცებულების სახით იქნა მოთხოვნილი კურიკულუმი, რამეთუ ყოფილიყო მტკიცებულება, ხომ არ იყო მექანიკური შეცდომა, მაგრამ დაწესებულებამ იგივე დოკუმენტი წარმოადგინა მტკიცებულების სახით.

დაწესებულებამ ასევე ნაწილობრივ შეასრულა მე-9 რეკომენდაცია, კერძოდ, უნივერსიტეტმა მტკიცებულების სახით წარადგინა დადგენილება №83(18/19) აწსუ საინჟინრო - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ, სადაც მუხლი 8. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი 8.3. უნივერსიტეტი, დოქტორანტი, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ჩარიცხვიდან მაქსიმუმ 2 თვის განმავლობაში ხელს აწერენ ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავს ყველა მხარის ვალდებულებებსა და უფლებებს. ხელშეკრულების ნაწილია დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა. მტკიცებულების სახით უნივერსიტეტს არ აქვს წარმოდგენილი ხელშეკრულების ფორმა სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ორივე მხარის უფლებამოვალეობები, ქმედებები, რომლებიც განხორციელდე ბა ხელმძღვანელსა და სტუდენტს შორის კონფლიქტის შემთხვევაში. თუმცა თავად ხელშეკრულების არსებობა მტკიცდება ზემოთ აღნიშნული დადგენილებით. დამატებითი მტკიცებულების სახით მოთხოვნილი იქნა აღნიშნული ხელშეკრულება, მაგრამ დაწესებულებამ მტკიცებულების სახით ისევ დებულება წარმოადგინა. დოკუმენტი მოიცავს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის უფლებებსა და მოვალეობებს - ასახავს დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის შედგენის, სტატუსის შეწყვეტის, სადისერტაციო ნაშრომის შერჩევა-დამტკიცების, მომზადების, შესაბამისი ავტორეფერატისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა-ექსპერტიზის პროცედურებს. მაგრამ არ განსაზღვრავს უფლება-მოვალეობებს.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სააკრედიტაციო საბჭოს მიერ მოწოდებული ყველა რეკომენდაცია გაზიარებული და გათვალისწინებულ იქნა სამუშაო ჯგუფის მიერ, კერძოდ: შეიცვალა პროგრამის მიღების წინაპირობა და პროგრამაზე ჩაირიცხებიან მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებიც ფლობენ ინგლისურ ენას B2 დონეზე; ინგლისური ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად, პროგრამის განმახორციელებელი და დარგობრივი დეპარტამენტის პერსონალი ჩართულია უნივერსიტეტთან არსებული უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ უცხო ენის შემსწავლელ ტრენინგ–მოდულებში; სასწავლო გეგმის არჩევით კურსებში ჩამატებულია საგანი: „დარგობრივი ინგლისური ენა“; საგნებში - „პედაგოგიური პრაქტიკა“ და „სპეც. სემინარი“ კრედიტები და საათების რაოდენობა მოყვანილია შესაბამისობაში დადგენილ ნორმებთან. ამასთან სადოქტორო პროგრამის არჩევით კურსებში დამატებულია კურსი: „სამეცნიერო ნაშრომის წერის საფუძვლები“. სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადების ხელშეწყობისათვის სტუდენტებისათვის შეიქმნა ინგლისურენოვანი ტრენინგის პაკეტი, რომელიც მოიცავს შემდეგ

საკითხებს: SCOPUS Vs. Web of Science; Web of Science: Create a Profile; Web of Science: How to do a Cited Reference Search, Web of Science: What is a Cited Reference Search? How to Use Web of Science Database.

მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა თავისი პოზიცია, კერძოდ, რეკომენდაცია გათვალისწინებულია, პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ინგლისურ ენის B2 დონეზე ცოდნა. აღნიშნული რეკომენდაცია შინაარსობრივად კავშირშია პირველ რეკომენდაციასთან, შესაბამისად ამაზე დაყრდნობით განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ, პროგრამაზე ჩაირიცხებიან მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებიც ფლობენ ინგლისურ ენას B2 დონეზე. ამრიგად, აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები: პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ინგლისურ ენის B2 დონეზე ცოდნა; ინგლისური ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად სტუდენტებისათვის პროგრამას დაემატა არჩევითი სასწავლო კურსის სახით „დარგობრივი ინგლისური ენა"; პროგრამის განმახორციელებელი და დარგობრივი დეპარტამენტის პერსონალი ჩართულია უნივერსიტეტთან არსებული უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ უცხო ენის შემსწავლელ ტრენინგ–მოდულებში; სტუდენტებისათვის მომზადებულია ინგლისურენოვანი ტრენინგის პაკეტი, რომელიც ჩართული იქნება კვლევითი კომპონენტის ფარგლებში. აღნიშნული პაკეტი მოიცავს შემდეგ საკითხებს: SCOPUS Vs. Web of Science; Web of Science: Create a Profile; Web of Science: How to do a Cited Reference Search, Web of Science: What is a Cited Reference Search? How to Use Web of Science Database.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ანგარიშის დებულებაში უნივერსიტეტის მხრიდან მე-8 რეკომენდაციასთან მიმართებით სახეზე იყო ტექნიკური შეცდომა, რომლის დამადასტურებელი დოკუმენტიც დაწესებულებამ წარმოადგინა. უცხო ენებთან მიმართებით სავალდებულო არის არა სამივე ენა, არამედ ინგლისური ენის B2 დონე. შესაბამისა, პროგრამაზე ჩარიცხვის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სტუდენტებმა უნდა ჩააბარონ ენის ცოდნის დამადასტურებელი გამოცდა ან უნდა წარმოადგინონ სათანადო სერთიფიკატი.

აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ყოფილ დოქტორანტებს, რომელთა უმრავლესობასაც სტუდენტთა სტატუსი შეუჩერდა სადოქტორო პროგრამის ვადის გასვლასთან დაკავშირებით და რომელთაც ვერ მოახერხეს 2020 წლის იანვარში შიდა მობილობით აღნიშნულ სადოქტორო პროგრამაზე აღდგენა, რადგანაც ამ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვების წინაპირობებში მოთხოვნილია ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, ხოლო მათ კი ჩაბარებული ჰქონდათ სხვა უცხო ენა, რაც მოთხოვნილი იყო მათი ადრინდელია სადოქტორო პროგრამებით, მიეცათ უფლება ჩააბარონ გამოცდა ინგლისურ ენაში 2010 წლის 26 ივნისს 13:00 საათზე ელექტრონული ფორმატით. პროგრამაზე სტუდენტების აღდგენა მოხდა მხოლოდ აღნიშნული გამოცდის ჩაბარების შემდგომ.

რაც შეეხება მე-9 რეკომენდაციას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია შესრულებულია. წარმოდგენილი საკითხები ასახულია აწსუ საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში, რომელიც მოიცავს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე ასახავს დოქტორანტი ინდივიდუალური გეგმის შედგენის, სტატუსის შეწყვეტის, სადისერტაციო ნაშრომის, ავტორეფერატისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენისა და ექსპერტიზის პროცედურებს. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის პირველ ეტაპზე ხდება დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის შედგენა. ინდივიდუალურ გეგმაში მოცემულია კვლევის მიზანი, სადისერტაციო თემის მოკლე აღწერა, სასწავლო კომპონენტების შესრულების და კვლევის სავარაუდო გრაფიკი. ფაკულტეტის დებულების მიხედვით დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმას ადგენს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი დოქტორანტთან შეთანხმებით.

საბჭოს თავმჯდომარე მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.

საბჭოს თავჯდომარემ ნინო დობორჯგინიძემ გამოყო სილაბუსების საკითხი და აღნიშნა, რომ პროგრამაში გათვალისწინებული საგნები საკმაოდ ტრადიციულია, შესაბამისად მათი მიკუთვნება სადოქტორო საფეხურთან სირთულეს წარმოადგენს.
საგანში ,,დარგის პროცესების აქტუალური საკითხები“ ძირითადი ლიტერატურა, რომლითაც ხდება სწავლება, არის საკმაოდ მოძველებული. ერთ-ერთი სახელმძღვანელო გამოცემულია 1970 წელს. შესაბამისა, სავარაუდოა მოხდეს დარგის აქტუალური საკითხები აღნიშნული სახელმძღვანელოებით სწავლება. ამავე სილაბუსში პირველი საკითხის ლიტერატურად მითითებულია კომპიუტერული გრაფიკა, რომელიც არ არის კავშირში აღნიშნულ საგანთან. ასევე ძირითად ლიტერატურად მითითებულია მხოლოდ 5 სახელმძღვანელო. სხვადასხვა საგნის სილაბუსებში მოცემულია ერთი და იგივე სახელმძღვანელოები. ასევე ლიტერატურის ნაწილი შეუსაბამოა დოქტორანტურის საფეხურთან.
პროგრამის თანახელმძღვანელმა განმარტა, რომ აღნიშნულ სილაბუსთან დაკავშირებით, კითხები ვიზიტის დროსაც არსებობდა. ძირითად ლიტერატურაში მოცემული სახელმძღვანელოები შეიცავენ იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელსაც ემყარება საგანი. ასევე მან აღნიშნა, რომ დროთა განმავლობაში მოხდება ლიტერატურის განახლება და დამატება.
საბჭოს წევრმა მანანა კევლიშვილმა აღნიშნა, რომ კვლევითი კომპონენტისთვის პროგრამიდან გამომდინარე გამოყოფილია 130 კრედიტი დაინტერესდა, თუ რის მიხედვით არის კრედიტები გამოყოფილი , რისგან შედგება და როგორ არის გადანაწილებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტმა აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით მოხდა გარკვეული ცვლილებების განხორციელება. პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც მივიდა დასკვნამდე, რომ პროგრამაში უფრო მეტი წილი უნდა დათმობოდა იმ არჩევით სასწავლო დისციპლინებს, რომელიც მისცემდა მოტივირებულ და მზაობაში მყოფ დოქტორანტებს აერჩიათ შესაბამისი საგნები დისერტაციის თემიდან გამომდინარე. 130 კრედიტი მოიცავს კვლევით კომპონენტს და პროგრამაშიც აღწერილი არის სადისერტაციო ნაშრომის მომზადები ეტაპები. შესაბამისი კოლოქვიუმებით და აუცილებელი პროცედურებით. ვინაიდან კოლოქვიუმი არის სამეცნიერო სამუშაოს ნაწილი ამ კომპონენტში არ ხდება შეფასება.
საბჭოს თავჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა, დააზუსტა კვლევის კომპონენტის საკითხი და აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით კვლევითი კომპონენტი გულისმოხბს 130 კრედიტს, რაც ეწინააღმდეგება, მოქმედ კანონმდებლობას, შესაბამისად მნიშვნელოვანია აღნიშნულმა საკითხმა განიცადოს გარკვეული ცვლილებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში არსებული ზემდგომი დებულება შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით პროგრამის განახლება და დახვეწა მუდმივად შესაძლებელია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მაქსიმალურად მოხდება ხარვეზების აღმოფხვრა და ამ კუთხით პროგრამის დახვეწა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:29
დასრულების დრო:16:41

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 და 2^{11} პუნქტების და 31-ე მუხლის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში არ იქნა მიღებული ცნობათ და საბჭომ ცენტრთან იშუამდგომლა, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, ერთი წლის თავზე - 2021 წლის 24 აგვისტომდე დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა